

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №11

ქ.თბილისი

18.11.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;

დავით კიკალეიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დიმიტრი ალავეძე - შპს „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;  
თეონა კუპატაძე -მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის  
მოადგილე;

ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და  
დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;

იაგორ კალანდაძე - სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ აღმასრუ-  
ლებელი დირექტორი

მიხეილ კორძაძე -საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და  
აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის  
სამმართველოს უფროსი;

კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის  
აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შუდრა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის  
სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ ურუშაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და  
აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის  
და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

**აკრედიტაციის ექსპერტები:**

ნატალია ბარათელი

მანანა ხაჩიძე

მარინა გედევანიშვილი

ნინო ღაღანიძე

თამარ ვეფხვაძე

ნიკო კვარაცხელია

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლები  
რევაზ კიკნაძე

ლეილა მარუშვილი

თამარ ჩხეიძე

**სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი:**  
ჰამლეტ რაზმაძე  
დავით მახაშვილი  
ნინო კახაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19<sup>15</sup> სთ-ზე და შეამოწმა ქვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე დაწესებულების წარმომადგენლების უფლებამოსილება. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს არ აღმოაჩნდათ უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი მინდობილობა. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ჰამლეტ რაზმაძის, განმარტებით, მის უფლებამოსილებას ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ შემოტანილი და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი თვითშეფასების ანგარიშები, რომლებშიც იგი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო კახაშვილი, არიან დაფიქსირებული, როგორც დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების უფლებამოსილების თაობაზე.

საბჭოს გადაწყვეტილება ერთხმად მიიჩნიეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უფლებამოსილად, წარმოადგინონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზეპირი მოსმენის დროს.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკისმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო



ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

30. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
31. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
32. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
33. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის დიზაინის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
34. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოსის დიზაინის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
35. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექსტილის დიზაინის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
36. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექსტილის დიზაინის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
37. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
38. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, გამოაქვეყნა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორესპონდენცია N561, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, ასევე საბუღალტრო და საგადასახადო საქმის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე. აქედან გამომდინარე, ცენტრის შუამდგომლობაა, აკრედიტაციის საბჭოს დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნეს მე-19, 21-ე, და 27-ე საკითხები.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი.

## 1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამემსრულებო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.

- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების ხვედრითი წონის გაზრდა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.

- სასურველია მასწავლებლის მომზადების პროგრამა არ იყოს იმპერატივის სახით სავალდებულო ყველა სტუდენტისთვის და ჰქონდეს არჩევითის სტატუსი. ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი, როგორც "minor" პროგრამა, კონკრეტული სტუდენტის ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად იქნება ინტეგრირებული მისსავე სასწავლო გეგმაში.

- სასურველია პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის სასწავლო გეგმა გაიწეროს უფრო ნათლად და მარტივად გასაგებად.

- სასურველია პროგრამაში მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

ინგლისური ენის გაძლიერებით შესწავლასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას, თუმცა მისი განმარტებით მუსიკის შემსწავლელი სპეციალობის უმთავრეს საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს თვით მუსიკა. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონსერვატორია ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც შესაძლებელია ამ სპეციფიკის გათვალისწინებით კადრების მომზადება, შესაბამისად, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს არ უჭირთ დასაქმება. არჩევითი საგნების ხვედრითი წონის გაზრდასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნაწილობრივ იზიარებს ამ რეკომენდაციას. მისი განმარტებით, მუსიკალური დარგი არის განსაკუთრებული პირობებით აღჭურვილი და შესაბამისად, აბიტურიენტი კონსერვატორიაში აბარებს უკვე გარკვეული მოტივაციით. უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა გაწერილია გამიჯნულ სპეციალობაზე. აღნიშნული განასხვავებს მას სხვა უნივერსიტეტების სხვა პროგრამებისგან, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სწავლის დროს აირჩიოს მისი სურვილისამებრ კონკრეტული ვიწრო სპეციალობა და მისი არჩევანის მიხედვით მოახდინოს საკუთარი პორტფოლიოს ფორმირება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კონსერვატორიაში არსებული პროგრამები თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტისთვის ვერ იძლევა მსგავსი შესაძლებლობების ფართოთ მიცემის საშუალებას. მასწავლებლის მომზადების პროგრამისთვის არჩევითის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და უახლეს მომავალში გეგმავს სტუდენტთათვის ამ პროგრამის, როგორც "minor" პროგრამის შეთავაზებას.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის დებულების” 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამემსრულებო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.

- სასურველია მასწავლებლის მომზადების პროგრამა ცალკე არსებობდეს, როგორც 60-კრედიტიანი "minor" პროგრამა და მისი გავლა სავალდებულო არ იყოს ყველა სტუდენტისთვის. თუ ამ პროგრამას არჩევითი პროგრამის სტატუსი ექნება, სტუდენტი თავისი მიზნებისა და ინტერესების შესაბამისად თავად გადაწყვეტს, აირჩიოს აღნიშნული პროგრამა, თუ სხვაგვარად შეადგინოს სასწავლო გეგმა და საკუთარი პორტფოლიო;

- სასურველია, სპეციალურ სასწავლო კურსებში დაგეგმილი პედაგოგიური სემინარები ინტეგრირებული იყოს მასწავლებლის მომზადების პროგრამის სასწავლო გეგმაში და არა სპეციალური სასწავლო კურსების ბლოკში;

- სასურველია პროგრამაში მიეთითოს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. პროგრამაში პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე ინფორმაციის მითითებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაციის მიუთითებლობა კონსერვატორიის სპეციფიკამ განაპირობა. მისი განმარტებით, პროგრამას თან ახლავს აკადემიური პერსონალის სია, თუმცა უშუალოდ პროგრამაში ამ მონაცემების მითითება არ ჩათვალეს მიზანშეწონილად, რადგან ეს პერსონალი რელაურად ასწავლის ყველა სტუდენტს, (თითოეულ სტუდენტს უწევს მაგალითად სპეციალობის კლასის გავლა, რომელსაც რელაურად ასწავლის კონსერვატორიის მთელი აკადემიური პერსონალი). შესაბამისად, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამაში კონსერვატორიის პერსონალის ჩამონათვალის შეტანა არამიზანშეწონილად მიიჩნია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ეს შეფასება სარეკომენდაციო ხასიათის იყო და შესაბამისად, დაწესებულებას შეეძლო მისი სურვილისამებრ გაეთვალისწინებინა იგი.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### **3.სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების ხვედრითი წონის გაზრდა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.
- სასურველია მასწავლებლის მომზადების პროგრამა არ იყოს იმპერატივის სახით სავალდებულო ყველა სტუდენტისთვის და ჰქონდეს არჩევითის სტატუსი. ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი, როგორც "minor" პროგრამა, კონკრეტული სტუდენტის ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად იქნება ინტეგრირებული მისსავე სასწავლო გეგმაში.
- სასურველია, პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის სასწავლო გეგმა გაიწეროს უფრო მკაფიოდ (შესაძლებელია მისი ვიზუალურად გამოყოფაც), რაც გაამარტივებს მის აღქმას.
- სასურველია, პროგრამაში მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

#### **4. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკისმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისურენოვანი კომპონენტის არსებობა, რამდენადაც მასზე დაშვების წინაპირობაში არ არის გათვალისწინებული ინგლისური ენის ჩაბარება ან გარკვეულ დონეზე ცოდნა. ინგლისურენოვანი კომპონენტის არსებობა ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება როგორც მარკეტინგული ასევე სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისითაც.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების არსებობა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.
- სასურველია პროგრამაში მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ვინაობა;
- სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს სწავლის/სწავლების მეთოდები;
- სასურველია პროგრამაში გაწერილი იყოს დოქტორანტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები;
- სასურველია პროგრამაში ზუსტად იყოს ჩამოყალიბებული სადოქტორო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შეფასების კრიტერიუმები და პარამეტრები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

პროგრამაში სწავლის/სწავლების მეთოდების მითითებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე, საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა აკრედიტაციის ექსპერტს და სთხოვა განემარტა, დაწესებულებას ჰქონდა თუ არა საერთოდ შემუშავებული სწავლისა და სწავლების მეთოდები. რაზეც ექსპერტმა, ქალბატონმა თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას თავის რეგულაციებში დეტალურად გაწერილი ჰქონდა სადოქტორო პროგრამის სტანდარტები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და ა.შ. თუმცა, რადგან უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყო აღნიშნული ჩანაწერი, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაწესებულებისთვის რეკომენდაცია გაეწია რეგულაციის ამ ნაწილის პროგრამაში ასახვასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ეს გაცილებით მოქნილს გახდიდა პროგრამას დოქტორანტებისათვის. თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, იყო თუ არა პროგრამაში მითითება იმ რეგულაციაზე, სადაც შეეძლო დოქტორანტს სწავლისა და სწავლების მეთოდების ნახვა. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი არ იყო სწავლის მეთოდები, თუმცა პროგრამაში არსებობდა ისეთი მითითება, რომლის მიხედვითაც დოქტორანტს შეეძლო ეპოვა ამ რეგულაციის ამსახველი დოკუმენტი და ენახა აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან, მისი განმარტებით, დაწესებულებას პროგრამის რეგულაციაში გაწერილი ჰქონდა არამხოლოდ თეორიული ასპექტის შეფასების კრიტერიუმები, არამედ პრაქტიკისაც. შესაბამისად, დაწესებულებას შეეძლო მარტივად გადაეტანა აღნიშნული რეგულაცია საგანმანათლებლო პროგრამაშივე.

საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო ლაღანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ კონსერვატორიაში სწავლისა და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციაზე დეტალურად ინფორმაცია მოცემული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, სადაც მკაფიოდ იყო განმარტებული თუ რა მეთოდებით და როგორ ხდებოდა დაწესებულებაში სწავლის შეფასება. მაგრამ, მისი განცხადებით, რეკომენდაციის ამ სახით არსებობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით გაცილებით ხელმისაწვდომი იქნებოდა დოქტორანტებისთვის ეს ინფორმაცია თუ იგი პროგრამაშივე იქნებოდა ასახული. რადგან რეალურად რეგულაციაში მაინც მოიპოვებოდა ამ სახის ინფორმაცია, ეს გარემოება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ არ იქნა აკრედიტაციის რომელიმე სტანდარტის დარღვევად.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ექსპერტთა შეფასებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამაში ეს უკვე ასახული იქნება.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკისმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკისმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკისმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **5.სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების არსებობა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.
- სასურველია პროგრამაში მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.
- სასურველია პროგრამაში ასახული იყოს საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისა და დაცვისთვის აუცილებელი კრიტერიუმები და პარამეტრები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. პროგრამაში სწავლის/სწავლების მეთოდების მითითებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე, საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა აკრედიტაციის ექსპერტს და სთხოვა განემარტა, დაწესებულებას ჰქონდა თუ არა საერთოდ შემუშავებული სწავლისა და სწავლების მეთოდები. რაზეც ექსპერტმა, ქალბატონმა თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას თავის რეგულაციებში დეტალურად გაწერილი ჰქონდა სადოქტორო პროგრამის სტანდარტები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და ა.შ. თუმცა, რადგან უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყო აღნიშნული ჩანაწერი, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაწესებულებისთვის რეკომენდაცია გაეწია რეგულაციის ამ ნაწილის პროგრამაში ასახვასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ეს გაცილებით მოქნილს გახდიდა პროგრამას დოქტორანტებისათვის.

საბჭოს წევრმა, ბატონმა დავით კიკალეიშვილმა განაცხადა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით არაფითარ პრობლემას არ ქმნიდა ის გარემოება, რომ დაწესებულებას უშუალოდ პროგრამაში არ ეწერა მსგავსი ინფორმაცია და მითითება ჰქონდათ სხვა მომწესრიგებელ დომუკნტზე, რომელიც თავისმხრივ დეტალურ რეგულაციას მოიცავდა საკითხის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რადგან არავითარი მავალდებულებელი ნორმა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებლად პროგრამის აღწერილობაში უნდა ყოფილიყო მითითება ნაშრომის დაცვის კრიტერიუმების თაობაზე, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ შეიძლება მიჩნეულიყო აკრედიტაციის სტანდარტის დარღვევად.

საბჭოს წევრმა, ქალბატონმა თეონა კუპატაძემ საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა განემარტა, მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტით უნდა ესარგებლათ თუ ზეპირსიტყვიერი განმარტებებით. რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს მხედველობაში უნდა მიეღო, როგორც ექსპერტთა წერილობითი დასკვნა, ასევე სხდომაზე გამართულ ზეპირ მოსმენაზე გაკეთებული განმარტებები. შესაბამისად, მისი განმარტებით, საბჭოს შეეძლო პროგრამის აკრედიტაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას გაეთვალისწინებინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაც და დაწესებულების წარმომადგენლის ზეპირსიტყვიერი განმარტებაც. საბჭოს წევრმა ბატონმა დავით კიკალეიშვილმა კიდევ ერთხელ სთხოვა ექსპერტს დაეხუსტებინა, რაში მდგომარეობდა რეკომენდაციის არსი. რაზეც, ქალბატონმა თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი არ იყო სწავლის მეთოდები, თუმცა პროგრამაში არსებობდა ისეთი მითითება, რომლის მიხედვითაც დოქტორანტს შეეძლო ეპოვა ამ რეგულაციის ამსახველი დოკუმენტი და ენახა აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან, მისი განმარტებით, დაწესებულებას პროგრამის რეგულაციაში გაწერილი ჰქონდა არამხოლოდ თეორიული ასპექტის შეფასების კრიტერიუმები, არამედ პრაქტიკისაც. შესაბამისად, დაწესებულებას შეეძლო მარტივად გადაეტანა აღნიშნული რეგულაცია საგანმანათლებლო პროგრამაშივე. მისი განცხადებით, რეკომენდაციის ამ სახით არსებობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით გაცილებით ხელმისაწვდომი იქნებოდა დოქტორანტებისთვის ეს ინფორმაცია თუ იგი პროგრამაშივე იქნებოდა ასახული. რადგან რეალურად რეგულაციაში მაინც მოიპოვებოდა ამ სახის ინფორმაცია, ეს გარემოება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ არ იქნა აკრედიტაციის რომელიმე სტანდარტის დარღვევად.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.



საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებო ხელოვნების სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებო ხელოვნების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**6.სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისურენოვანი კომპონენტის არსებობა, რამდენადაც მასზე დაშვების წინაპირობაში არ არის გათვალისწინებული ინგლისური ენის ჩაბარება ან გარკვეულ დონეზე ცოდნა. ინგლისურენოვანი კომპონენტის არსებობა ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების არსებობა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.
- სასურველია, პროგრამაში მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.
- სასურველია, პროგრამაში ასახული იყოს საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისა და დაცვისთვის აუცილებელი კრიტერიუმები და პარამეტრები.
- სასურველია პროგრამა შეიცავდეს სპეციალობის კლასის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**7. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო დირიჟორობის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების ხვედრითი წონის გაზრდა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.
- სასურველია პროგრამაში მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.

თამარ ურუშაძემ გაახმოვანა ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პოზიცია, რომლის შესაბამისად, პროფესიულ პროგრამაში არ არის აუცილებელი არჩევითი კომპონენტის გათვალისწინება, ვინაიდან პროფესიული პროგრამა ორიენტირებულია პირისათვის კონკრეტული პროფესიული უნარის განვითარებაზე, და საკუთარი პორტფოლიოს ინდივიდუალური ფორმირება არ უნდა იყოს პროფესიული პროგრამის განხორციელების პრიორიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, განემარტა თუ რაში მდგომარეობდა ცენტრის პოზიცია და ეწინააღმდეგებოდა თუ არა იგი ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს. რასთან დაკავშირებითაც მომხსენებელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა დაწესებულებისთვის და კონსერვატორიას შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი მისი სურვილისამებრ. მაგრამ, ცენტრმა დააფიქსირა თავისი პოზიცია აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება არ გაითვალისწინებდა ამ რეკომენდაციას.

საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ლაღანიძემ, რომლის განცხადებით, პროგრამაში არჩევითი კურსის შემოღების საჭიროება გამოვლინდა უშუალოდ პროგრამის გაცნობის, პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ. მისი განმარტებით, პროფესიულ პროგრამებზე არჩევითი კურსის შეთავაზება სრულიად მიზანშეწონილია თუ სასწავლო კურსი ნაკლებად თეორიული ხასიათის იქნება და არ გაცდება პროფესიული პროგრამის ფარგლებს. მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი არჩევითი კურსების პროგრამაში შემოღებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის შემუშავებისას ითვალისწინებდა იმას, რომ არჩევითი კურსის შეთავაზება უნდა მომხდარიყო არა უშუალოდ სავალდებულო საგნების შემცირების ხარჯზე, არამედ სავალდებულო დისციპლინების ზემოთ უნდა ჰქონოდათ სტუდენტებს საკუთარი სურვილისამებრ აერჩიათ გარკვეული საგანი. მისი განცხადებით, პროგრამაში არჩევითი კურსის შემოღების აუცილებლობა დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც, კერძოდ, სტუდენტების უმრავლესობის მოთხოვნას წარმოადგენდა მინიმუმ 5 კრედიტიანი არჩევითი კურსის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამაში. გარდა ამისა, ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციის მიზანშეწონილობასთან მიმართებით კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი, კერძოდ, პროფესიული პროგრამის დასაქმების ბაზარზე ორიენტირებულობა. როგორც ექსპერტი განმარტავს, შრომის ბაზრის მცირემაშტაბიანი კვლევები ცხადყოფს, რომ მსგავსი დამატებითი არჩევითი მინიმალური კომპეტენციები მკვეთრად აფართოვებს შემდგომში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას. ექსპერტის განცხადებით, ეს რეკომენდაცია სავალდებულო ძალის მქონე არ არის და შესაბამისად დაწესებულებას შეეძლო საკუთარი სურვილისამებრ გადაეწყვიტა გაითვალისწინებდა თუ არა მას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულიად იზიარებს ექსპერტთა ამ მოსაზრებას და გეგმავს სამომავლოდ ამ მიმართულებით მუშაობას.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო დირიჟორობის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო დირიჟორობის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო დირიჟორობის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**8. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკრავიერი შემსრულებლობის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების არსებობა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.

თამარ ურუშაძემ გაახმოვანა ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ცენტრის პოზიცია, რომლის შესაბამისად, პროფესიულ პროგრამაში არ არის აუცილებელი არჩევითი კომპონენტის გათვალისწინება, ვინაიდან პროფესიული პროგრამა ორიენტირებულია პირისათვის კონკრეტული პროფესიული უნარის განვითარებაზე, და საკუთარი პორტფოლიოს ინდივიდუალური ფორმირება არ უნდა იყოს პროფესიული პროგრამის განხორციელების პრიორიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, განემარტა თუ რაში მდგომარეობდა ცენტრის პოზიცია და ეწინააღმდეგებოდა თუ არა იგი ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს. რასთან დაკავშირებითაც მომხსენებელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა დაწესებულებისთვის და კონსერვატორიას შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი მისი სურვილისამებრ. მაგრამ, ცენტრმა დააფიქსირა თავისი პოზიცია აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება არ გაითვალისწინებდა ამ რეკომენდაციას.

საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ლაღანიძემ, რომლის განცხადებით, პროგრამაში არჩევითი კურსის შემოღების საჭიროება გამოვლინდა უშუალოდ პროგრამის გაცნობის, პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ. მისი განმარტებით, პროფესიულ პროგრამებზე არჩევითი კურსის შეთავაზება სრულიად მიზანშეწონილია თუ სასწავლო კურსი ნაკლებად თეორიული ხასიათის იქნება და არ გაცდება პროფესიული პროგრამის ფარგლებს. მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი არჩევითი კურსების პროგრამაში შემოღებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის შემუშავებისას ითვალისწინებდა იმას, რომ არჩევითი კურსის შეთავაზება უნდა მომხდარიყო არა უშუალოდ სავალდებულო საგნების შემცირების ხარჯზე, არამედ სავალდებულო დისციპლინების ზემოთ უნდა ჰქონოდათ სტუდენტებს საკუთარი სურვილისამებრ აერჩიათ გარკვეული საგანი. მისი განცხადებით, პროგრამაში არჩევითი კურსის შემოღების აუცილებლობა დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც, კერძოდ, სტუდენტების უმრავლესობის მოთხოვნას წარმოადგენდა მინიმუმ 5 კრედიტიანი არჩევითი კურსის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამაში. გარდა ამისა, ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციის მიზანშეწონილობასთან მიმართებით კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი, კერძოდ, პროფესიული პროგრამის დასაქების ბაზარზე ორიენტირებულობა. როგორც ექსპერტი განმარტავს, შრომის ბაზრის მცირემაშტაბიანი კვლევები ცხადყოფს, რომ მსგავსი დამატებითი არჩევითი მინიმალური კომპეტენციები მკვეთრად აფართოვებს შემდგომში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას. ექსპერტის განცხადებით, ეს რეკომენდაცია სავალდებულო ძალის მქონე არ არის და შესაბამისად დაწესებულებას შეეძლო საკუთარი სურვილისამებრ გადაეწყვიტა გაითვალისწინებდა თუ არა მას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულიად იზიარებს ექსპერტთა ამ მოსაზრებას და გეგმავს სამომავლოდ ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოების განხორციელებას.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკრავიერი შემსრულებლობის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო დირიჟორობის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0



### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკრავიერი შემსრულებლობის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**9. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის სწავლების საფუძვლების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება როგორც მარკეტინგული თვალსაზრისით, ასევე სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისითაც.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების არსებობა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.

თამარ ურუშაძემ გაახმოვანა ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ცენტრის პოზიცია, რომლის შესაბამისად, პროფესიულ პროგრამაში არ არის აუცილებელი არჩევითი კომპონენტის გათვალისწინება, ვინაიდან პროფესიული პროგრამა ორიენტირებულია პირისათვის კონკრეტული პროფესიული უნარის განვითარებაზე, და საკუთარი პორტფოლიოს ინდივიდუალური ფორმირება არ უნდა იყოს პროფესიული პროგრამის განხორციელების პრიორიტეტი

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, განემარტა თუ რაში მდგომარეობდა ცენტრის პოზიცია და ეწინააღმდეგებოდა თუ არა იგი ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს. რასთან დაკავშირებითაც მომხსენებელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა დაწესებულებისთვის და კონსერვატორიას შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი მისი სურვილისამებრ. მაგრამ, ცენტრმა დააფიქსირა თავისი პოზიცია აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება არ გაითვალისწინებდა ამ რეკომენდაციას.

საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ღაღანიძემ, რომლის განცხადებით, პროგრამაში არჩევითი კურსის შემოღების საჭიროება გამოვლინდა უშუალოდ პროგრამის განცხადების, პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ. მისი განმარტებით, პროფესიულ პროგრამებზე არჩევითი კურსის შეთავაზება სრულიად მიზანშეწონილია თუ სასწავლო კურსი ნაკლებად თეორიული ხასიათის იქნება და არ გაცდება პროფესიული პროგრამის ფარგლებს. მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი არჩევითი კურსების პროგრამაში შემოღებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის შემუშავებისას ითვალისწინებდა იმას, რომ არჩევითი კურსის შეთავაზება უნდა მომხდარიყო არა უშუალოდ სავალდებულო საგნების შემცირების ხარჯზე, არამედ სავალდებულო დისციპლინების ზემოთ უნდა ჰქონოდათ სტუდენტებს საკუთარი სურვილისამებრ აერჩიათ გარკვეული საგანი. მისი განცხადებით, პროგრამაში არჩევითი კურსის შემოღების აუცილებლობა დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც, კერძოდ, სტუდენტების უმრავლესობის მოთხოვნას წარმოადგენდა მინიმუმ 5 კრედიტიანი არჩევითი კურსის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამაში. გარდა ამისა, ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციის მიზანშეწონილობასთან მიმართებით კიდევ ერთი გარემოება გასათვალისწინებელი, კერძოდ, პროფესიული პროგრამის დასაქმების ბაზარზე ორიენტირებულობა. როგორც ექსპერტი განმარტავს, შრომის ბაზრის მცირემაშტაბიანი კვლევები ცხადყოფს, რომ მსგავსი დამატებითი არჩევითი მინიმალური კომპეტენციები მკვეთრად აფართოვებს შემდგომში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას. ექსპერტის განცხადებით, ეს რეკომენდაცია სავალდებულო ძალის მქონე არ არის და შესაბამისად დაწესებულებას შეეძლო საკუთარი სურვილისამებრ გადაეწყვიტა გაითვალისწინებდა თუ არა მას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულიად იზიარებს ექსპერტთა ამ მოსაზრებას და გეგმავს სამომავლოდ ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოების განხორციელებას.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის სწავლების საფუძვლების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის სწავლების საფუძვლების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის სწავლების საფუძვლების მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**10. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბალეტის ხელოვნების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების არსებობა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.

თამარ ურუშაძემ გაახმოვანა ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ცენტრის პოზიცია, რომლის შესაბამისად, პროფესიულ პროგრამაში არ არის აუცილებელი არჩევითი კომპონენტის გათვალისწინება, ვინაიდან პროფესიული პროგრამა ორიენტირებულია პირისათვის კონკრეტული პროფესიული უნარის განვითარებაზე, და საკუთარი პორტფოლიოს ინდივიდუალური ფორმირება არ უნდა იყოს პროფესიული პროგრამის განხორციელების პრიორიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდებოდა თუ არა მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამა. რაზეც, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოში ბალეტის ხელოვნება ისწავლებოდა ასევე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კონოს უნივერსიტეტში.

თავმჯდომარემ იკითხა საგანმანათლებლო პროგრამა იყო თუ არა ორიენტირებული პრაქტიკულ სამუშაოებზე. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონსერვატორიაში ბალეტის ხელოვნების პროფესიული პროგრამა ძირითადად ორიენტირებული იყო პრაქტიკულ მეცადინეობებზე, თუმცა პროგრამა თავისთავად მოიცავდა საჭირო რაოდენობის თეორიულ სასწავლო კურსებსაც.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბალეტის ხელოვნების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბალეტის ხელოვნების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბალეტის ხელოვნების მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 11. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ჯაზის ხელოვნების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.
- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების არსებობა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.

თამარ ურუშაძემ გაახმოვანა ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ცენტრის პოზიცია, რომლის შესაბამისად, პროფესიულ პროგრამაში არ არის აუცილებელი არჩევითი კომპონენტის გათვალისწინება, ვინაიდან პროფესიული პროგრამა ორიენტირებულია პირისათვის კონკრეტული პროფესიული უნარის განვითარებაზე, და საკუთარი პორტფოლიოს ინდივიდუალური ფორმირება არ უნდა იყოს პროფესიული პროგრამის განხორციელების პრიორიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, განემარტა თუ რაში მდგომარეობდა ცენტრის პოზიცია და ეწინააღმდეგებოდა თუ არა იგი ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს. რასთან დაკავშირებითაც მომხსენებელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა დაწესებულებისთვის და კონსერვატორიას შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი მისი სურვილისამებრ. მაგრამ, ცენტრმა დააფიქსირა თავისი პოზიცია აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება არ გაითვალისწინებდა ამ რეკომენდაციას.

საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ლაღანიძემ, რომლის განცხადებით, პროგრამაში არჩევითი კურსის შემოღების საჭიროება გამოვლინდა უშუალოდ პროგრამის გაცნობის, პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ. მისი განმარტებით, პროფესიულ პროგრამებზე არჩევითი კურსის შეთავაზება სრულიად მიზანშეწონილია თუ სასწავლო კურსი ნაკლებად თეორიული ხასიათის იქნება და არ გაცდება პროფესიული პროგრამის ფარგლებს. მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი არჩევითი კურსების პროგრამაში შემოღებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის შემუშავებისას ითვალისწინებდა იმას, რომ არჩევითი კურსის შეთავაზება უნდა მომხდარიყო არა უშუალოდ სავალდებულო საგნების შემცირების ხარჯზე, არამედ სავალდებულო დისციპლინების ზემოთ უნდა ჰქონოდათ სტუდენტებს საკუთარი სურვილისამებრ აერჩიათ გარკვეული საგანი. მისი განცხადებით, პროგრამაში არჩევითი კურსის შემოღების აუცილებლობა დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც, კერძოდ, სტუდენტების უმრავლესობის მოთხოვნას წარმოადგენდა მინიმუმ 5 კრედიტისანი არჩევითი კურსის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამაში.

გარდა ამისა, ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციის მიზანშეწონილობასთან მიმართებით კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი, კერძოდ, პროფესიული პროგრამის დასაქმების ბაზარზე ორიენტირებულობა. როგორც ექსპერტი განმარტავს, შრომის ბაზრის მცირემაშტაბიანი კვლევები ცხადყოფს, რომ მსგავსი დამატებითი არჩევითი მინიმალური კომპეტენციები მკვეთრად აფართოვებს შემდგომში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას. ექსპერტის განცხადებით, ეს რეკომენდაცია სავალდებულო ძალის მქონე არ არის და შესაბამისად დაწესებულებას შეეძლო საკუთარი სურვილისამებრ გადაეწყვიტა გაითვალისწინებდა თუ არა მას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულიად იზიარებს ექსპერტთა ამ მოსაზრებას და გეგმავს სამომავლოდ ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოების განხორციელებას.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ჯაზის ხელოვნების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ჯაზის ხელოვნების მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0



### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ჯაზის ხელოვნების მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 12. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში შეძლებისდაგვარად, გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- სასურველია, მასწავლებლის მომზადების პროგრამას ჰქონდეს არჩევითი სტატუსი. ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი, როგორც "minor" პროგრამა, კონკრეტული სტუდენტის ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად იქნება ინტეგრირებული მისსავე სასწავლო გეგმაში.
- სასურველია, პროგრამაში მიეთითოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.

თამარ ურუშაძემ გაახმოვანა ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ცენტრის პოზიცია, რომლის შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ, პროფესიული კომპეტენციების გამომუშავებელ დამატებით პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის ჩართვა, ვინაიდან აღნიშნული ზოგადი კომპეტენციის და კომუნიკაციური უნარების განმავითარებელი კომპონენტები ისწავლება ძირითადი პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ლაღანიძემ, რომლის განცხადებით, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ვიზიტის დროს განხილულ იქნა როგორც ცალკე არსებული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა ექსპერტთა აზრით, სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამ პროგრამის, მაინორ პროგრამად შეთავაზება. მისი განმარტებით, თუ სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება მოხდებოდა არა როგორც პროგრამის სავალდებულო კომპონენტის, არამედ, როგორც არჩევითის სტატუსის მქონე.

საბჭოს წევრმა, ქალბატონმა თეონა კუპატაძემ განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას და კარგი იქნება, თუ დაწესებულება გაიზიარებდა მას, რადგან ეს გარემოება უფრო მოქნილს და ეფექტურს გახდიდა კონსერვატორიაში საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნულზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და მზადაა, ამ კუთხით მოახდინოს პროგრამების მოდიფიცირება.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია .

### **13. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში დაიხვეწოს და კარგად ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგები;
- მიზანშეწონილია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- სასურველია, დაიხვეწოს და გაიწეროს სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი საგნის სილაბუსებში სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები არ იყოს სტანდარტიზებული და ლექტორს მიეცეს აკადემიური თავისუფლება, თვითონ გაწეროს შესაბამისი კურსის შედეგების შესაფასებლად შესაბამისი შედეგები;
- სასურველია უცხო ენის, კერძოდ ინგლისური ენის სწავლება გაგრძელდეს 8 სემესტრის განმავლობაში, რათა სტუდენტი გავიდეს ინგლისური ენის ფლობის შესაბამის დონეზე.
- სასურველია, გაიზარდოს მათემატიკური საგნები 10 კრედიტიდან 25-30 კრედიტამდე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივად ყველა რეკომენდაცია გათავლისწინებულია, ინგლისურ ენას რაც შეეხება, საუნივერსიტეტო თავისუფალი კრედიტების ხარჯზე შესაძლებელი იქნება 8 სემესტრის განმავლობაში მისი სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ფიზიკის

სპეციალობისათვის დასაქმების ბაზარი არ გამოირჩევა სიდიდით, კურსდამთავრებულების ნაწილი საქმდება ბანკებში და მსგავსი პროფილის დაწესებულებებში, სადაც მოთხოვნადია მათემატიკა და ანალიტიკური აზროვნების უნარი. ასევე ხდება კურსდამთავრებულთა დასაქმება სამედიცინო სფეროშიც.

საბჭომ დააფიქსირა რეკომენდაცია, ფიზიკის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული იქნეს მასწავლებლის მომზადების პროგრამის შესწავლის შესაძლებლობა, კურსდამთავრებულის პედაგოგიური პროფილით დასაქმების შესაძლებლობის გაზრდისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლება სხვა ფაკულტეტზე. დაწესებულება გაიზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციასაც და შეუქმნის სტუდენტებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით კომპონენტში გავლის შესაძლებლობას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

#### **14. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულია შემდეგი შენიშვნები:

**აკრედიტაციის პირველ სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მიმართებით :**

კურიკულუმში სწავლის შედეგები განისაზღვრება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით, თუმცა აღნიშნული შედეგები დასახვეწია და ჩამოსაყალიბებელი. კერძოდ: ცოდნა და გაცნობიერებაში ხვდება ჩანაწერი: „შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას სამეცნიერო კვლევებში. გამომუშავებული ექნება ბიოლოგიური ექსპერიმენტისა და ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების უნარ-ჩვევები.“ აღნიშნული ჩანაწერი მიეკუთვნება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციას. „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში“ ხვდება ჩანაწერი „შეუძლია ინტერნეტის და სხვა ელექტრონული წყაროების გამოყენება ინფორმაციის მოძიებისათვის;“ აღნიშნული კომპეტენცია გასაწერია კომუნიკაციის უნარში. ამასთან, კომუნიკაციის უნარში საერთოდ არ არის მითითებული ინფორმაცია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის შესახებ.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მიმართებით:**

საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები. კერძოდ, გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შესაბამისი ტაბულები, გერბარიუმები, სათანადო აუდიო და ვიდეო მასალა. ტარდება პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები და სავლელე პრაქტიკები.“

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტთან - „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ - მიმართებით:**

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში საჭიროებს განახლებას. აღნიშნული პრობლემა დააფიქსირეს სტუდენტებმაც ინტერვიუების დროს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი მიზეზი ტექნიკური შეცდომა გახდა. ამჟამად სწავლის შედეგები გასწორებულია და შესაძლებელია შესაბამისი დოკუმენტაციის სხდომაზე გამოქვეყნება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მამიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. აკრედიტაციის ექსპერტმა, ნატალია ზარათელმა დაადასტურა, რომ კომპეტენციის აღრევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, რაზედაც ექსპერტმა ვიზიტის დროსვე მიუთითა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუმცა შესწორებული პროგრამა ვიზიტის დროს წარმოდგენილი არ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ, განმარტა, რომ ზემოთ მითითებული საფუძვლით, საბჭო ვერ გაითვალისწინებს ამ დოკუმენტს.

ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ მიმართულებით მწირი მასალაა და სილაბუსებში მითითებული იყო მხოლოდ ის ლიტერატურა რაც უნის ბიბლიოთეკაში იყო დაცული. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია ცალკეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ლიტერატურის სიმწირე გასაგები იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ბიოლოგიის მიმართულებით უამრავი ლიტერატურა არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

## 15. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და კომუნიკაციის უნარი;
- სასურველია, საკონტაქტო საათები სავსე პრაქტიკაში ძირითადად დაეთმოს სავსე სამუშაოებს და არა ისეთ თეორიულ საკითხებს, რომლებიც უკვე სხვადასხვა სასწავლო კურსების სილაბუსებში გვხვდება;
- სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა გაადვილდეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დასვა შეკითხვა პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის არსებობასთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტმა, ნატალია ბარათელმა, აღნიშნა, რომ პროგრამა პრაქტიკულ კომპონენტს ითვალისწინებს, მაგრამ პრაქტიკულ კომპონენტში შეინიშნება თეორიული კომპონენტების შესწავლა და რეკომენდაციაც იმაში მდგომარობდა რომ ამ კუთხით შეცვლილიყო მეთოდური მიდგომა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა ყველა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.



საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 16. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი.
- სასურველია მომავალი ჟურნალისტიკისთვის უნივერსიტეტის ბაზაზე მოეწყოს პროფესიული სწავლებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა.
- სასურველია სასწავლო გეგმა და პროგრამა უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული რეგიონალური ჟურნალისტიკის განვითარებაზე, რეგიონში კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. ამისთვის, სასურველია სასწავლო გეგმაში დაემატოს ისეთი საგნები, როგორცაა: რეგიონალური ჟურნალისტიკა, ჟურნალისტიკა და ტურიზმი, სამოქალაქო ჟურნალისტიკა და სხვ.; უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის რეგიონში მოქმედი რეგიონალური მედია საკმარისი რესურსია იმისთვის, რომ ადგილობრივმა უნივერსიტეტმა შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ჟურნალისტიკის შესთავაზოს შრომის ბაზარს და ამით ხელი შეუწყოს რეგიონის მედიის განვითარებასაც.
- სასურველია მომავალში, პროგრამის მოდერნიზების ფარგლებში, უნივერსიტეტმა განიხილოს სტაჟირების კურსების კურიკულუმში ინტეგრირების შესაძლებლობა. კერძოდ, სილაბუსები გაიწეროს დამსაქმებლების ჩართულობით, სტაჟირება განხორციელდეს დამსაქმებელთან, ხოლო შუალედური შეფასებები ჩატარდეს უნივერსიტეტის პროფესორის მხრიდან.
- ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტში გათვალისწინებულია ოთხი სავალდებულო-არჩევითი ბლოკი (20 კრედიტი - ასარჩევად შეთავაზებული 45 კრედიტიდან); თუმცა, ამათგან ძირითადი სპეციალობის საგნები საერთოდ არაა შემოთავაზებული. სასურველია შემოთავაზებული იყოს არჩევითი საგნები ძირითადი სპეციალობიდან, თუნდაც, ეს მოხდეს, სავალდებულო საგნებიდან კურსების გადაჯგუფების გზით. სასწავლო გეგმას შესაძლოა დაემატოს ისეთი საგნები, როგორცაა: სამოქალაქო ჟურნალისტიკა, სოციალური მედია, რეგიონალური ჟურნალისტიკა და სხვ. სასწავლო გეგმა შესაძლებლობას იძლევა, რომ წარმოდგენილი იყოს საგნების კონცენტრაციები, მოდულები;

- სასურველია მეტი ფოკუსირება მოხდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციების გამომუშავებაზე, პროფესიულ პრაქტიკაზე.
- სწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის სასურველია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი ჩართვა სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებში;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა ყველა რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ სტაჟირების პროგრამა რეალურად ხორციელდება დაწესებულების ხელშეწყობით, თუმცა ამ კომპონენტზე და სტაჟირების შედეგებზე უშუალოდ პროგრამაში არ არის მითითებული. რეკომენდაციის შესაბამისად ისინი გაითვალისწინებს ამ კომპონენტსაც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 17. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სტუდენტისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკული-უნარჩვევების გამომუშავებელი კურსების სწავლება.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის (განსაკუთრებით ინგლისური ენა) ელემენტების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს უცხოენაზე სპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარებას.
- სწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის სასურველია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი ჩართვა სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებში;
- სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი საგნები, რომლებიც კონკრეტული სფეროს ფართოდ შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად ("კონსტიტუციური" და "ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის" კურსებს წინ უსწრებდეს "საჯარო ხელისუფლება და მისი ორგანიზება").
- სასურველია სასწავლო გეგმა და პროგრამა უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებზე და კონკრეტულ სილაბუსებში გაიწეროს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სპეციფიკა.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტისათვის სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი.
- სასურველია მომავალში, პროგრამის მოდერნიზების ფარგლებში, უნივერსიტეტმა განიხილოს სტაჟირების კურსების კურსკულუმში ინტეგრირების შესაძლებლობა. კერძოდ, სილაბუსები გაიწეროს დამსაქმებლების ჩართულობით, სტაჟირება განხორციელდეს დამსაქმებელთან, ხოლო შუალედური შეფასებები ჩატარდეს უნივერსიტეტის პროფესორის მხრიდან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა ყველა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**18. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო საფეხურების ფსიქოლოგ კონსულტანტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოებისა და საკითხავი ტექსტების უფრო ფართო არჩევანი; ასევე, სასურველია საკითხავი მასალების გადახალისება და თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებული ცოდნის ამსახველი ახალი გამოცემებით, მეტად თანამედროვე ლიტერატურით შევსება;

- სასურველია, რომ დამატებითი პროგრამა მეტად იყოს ფოკუსირებული იმ პრაქტიკულ ფუნქციებზე, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში მიწოდებულმა ცოდნამ უნდა შეასრულოს კურსდამთავრებულის ძირითად პროფესიული საქმიანობაში. კერძოდ, დამატებითი პროგრამა კურსდამთავრებულს, სასურველია, აღჭურვავედეს იმ ბაზისური ცოდნით ბავშვისა და განვითარების ფსიქოლოგიაში (რის შესაძლებლობასაც იძლევა ფსიქოლოგიის მოდულში შემავალი კურსები), რომელიც დაეხმარებს მას თავისი ძირითადი სპეციალობით სკოლამდელი აღზრდის, დაწყებითი და საშუალო ზოგადი განათლების სფეროში მოღვაწეობაში. ამისათვის რეკომენდებულია: (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების იმგვარად მოდიფიცირება, რომ შედეგებში უკეთ აისახებოდეს პროგრამის დამხმარე ფუნქცია და, შესაბამისად, (2) მოდიფიცირდეს პროგრამის დასახელებაც (მაგალითად, „განათლების სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო საფეხურების პედაგოგიური ფსიქოლოგია“);

- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამაში ორი სავალდებულო კურსის დამატება; ეს კურსებია „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია“. ასევე, შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული კურსების „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ და „სოციალური ფსიქოლოგია“ ერთ კურსად ინტეგრირება, გამომდინარე დამატებითი პროგრამის სტატუსიდან და ხელმისაწვდომი კრედიტების (სულ 60) სიმცირის გამო. ორი ძირითადი კურსის ინტეგრირების ალტერნატივად, შესაძლოა, განხილულ იქნას მათი ECTS ღირებულების შემცირება (მაგალითად, 3 და 2 კრედიტიან კურსებად გადაკეთება).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა ყველა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო საფეხურების ფსიქოლოგ კონსულტანტის დამატებითი პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო საფეხურების ფსიქოლოგ-კონსულტანტის დამატებით პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **19. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულია შემდეგი შენიშვნები:

### **აკრედიტაციის პირველ სტანდარტთან - „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“ - მიმართებით :**

- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიონობისათვის სასურველია, რომ პროგრამა ეკონომიკისა და ბიზნესის საგნების ხარჯზე გაძლიერდეს სპეციალიზირებული ტურისტული დისციპლინებით, რომლებიც სტუდენტს გამოუმუშავებს ტურიზმის სფეროში დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ასეთებია: სასტუმრო ბიზნესი, უპირატესად კერძო და სასტუმრო სახლების ფუნქციონირება, ტურისტული ფირმები და საექსკურსიო ორგანიზაციები, აგრეთვე საკურორტო სექტორი და ფესტივალების, ღონისძიებების (Event) ორგანიზება.

პროგრამა მოითხოვს სრულყოფას და შემდეგი დისციპლინების დამატებას: 1. პროგრამით ისწავლება საგანი - "სასტუმროების მენეჯმენტი", მიზანშეწონილია მას დამატებოდა რესტორნის მენეჯმენტი, რადგან პროგრამაში არცერთი საგანი არ მოიცავს სათანადოდ მომსახურების საკითხებს კვების ობიექტებზე. პროგრამაში უნდა გაძლიერდეს მომსახურების საკითხები, როგორც სტაციონარული კვების ობიექტებზე, ისე კეიტერინგის (Catering) შესწავლა. კურსდამთავრებულთა დასაქმებას უთუოდ შეუწყობდა ხელს ტურისტული ფირმის ოპერაციული მენეჯმენტის - ტუროპერეტივინგის ცალკე დისციპლინად პროგრამაში შეტანა. სასურველი იქნებოდა სასწავლო დისციპლინებში გათვალისწინებულ იქნას თანამედროვე საკურორტო საქმიანობის პრინციპები.

- პროგრამის კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრის საფუძლიანი კვლევა უნივერსიტეტში არ ჩატარებულა, არ არის ჩატარებული აგრეთვე მსგავს პროგრამებთან ოფიციალური შედარებითი ანალიზი.

- ზოგიერთი სილაბუსი საჭიროებს ახალი მასალებით გამდიდრებას, ზოგიერთი შესწორებას. მაგალითად, დისციპლინა "ექსკურსიათმცოდნეობა და ეთიკა", რომელიც გულისხმობს თბილისის



ლოკალური გიდის მომზადებას, მიზანშეწონილია ძირეულად შეიცვალოს და მოერგოს კახეთის რეგიონს, კერძოდ, თელავისა და შემოგარენის (იყალთო, ალავერდი, ძველი და ახალი შუამთა, წინანდალი, გრემი და ა.შ.) მაგალითზე სწავლება.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მიმართებით:**

საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები. კერძოდ, გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შესაბამისი ტაბულები, გერბარიუმები, სათანადო აუდიო და ვიდეო მასალა. ტარდება პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები და სავლელე პრაქტიკები.“

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტთან - „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ - მიმართებით:**

- დატვირთვის სქემაში და სილაბუსებში არ არის გათვალისწინებული სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაციები.
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის შედეგად, მაგრამ უმრავლესობას არ გააჩნია კვალიფიკაცია ტურიზმის სპეციალობით, ტურიზმის სფეროში მუშაობის გამოცდილება და ტურიზმის დარგში გამოქვეყნებული შრომები, ამიტომ პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ძირითად ნაწილს ესაჭიროება კვალიფიციის ამაღლება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარკვეულ შენიშვნებს ეთანხმება და გარკვეულს არა. სპეცდიაპლინების შესწავლასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ტურიზმის ბაკალავრის კვალიფიკაციის მოპოვებისათვის აუცილებელი დისციპლინების შესწავლას, თუმცა, როგორც რეკომენდაციას, გაიზიარებს ექსპერტის რჩევას და გაამდიდრებს პროგრამას შესაბამისი სასწავლო დისციპლინებით. დასაქმების ბაზრის კვლევის არარსებობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგეგმება ამ სახის კვლევის ჩატარება. ოფიციალური ანალიზი აქამდე არ ჩატარებულა, თუმცა რელაურად მსგავსი კვლევები პრაქტიკაში ხორციელდებოდა, უბრალოდ სამართლებრივი თვალსაზრისით არ იყო გაწერილი. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ მუშაობას აკადემიური პერსონალის დატვირთვა ითვალისწინებს, უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკი, თუმცა ექსპერტის მიერ შემოწმებულ სილაბუსებში ინდივიდუალური მუშაობის საათები ტექნიკურად არის გამორჩენილი. ტურიზმის სფეროში მომუშავეთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა სსიპ -

წნორის კოლეჯში. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის უნივერსიტეტთან აღნიშნული დაწესებულების მიერთების შემდეგ, პროფესორთა უმრავლესობამ თელავში მუშაობის სურვილი არ გამოთქვა. ამის მიუხედავად პროგრამის განხორციელებაში ამჟამად ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი. ამ ეტაპზეც გამოქვეყნებულია ვაკანსია კვალიფიციური პერსონალის მოწვევის თაობაზე.

ბოლო შეფასებებზე ექსპერტმა, ნიკო კვარაცხელიამ, განაცხადა, რომ მსგავს შემთხვევაში საქმე ეხებოდა პლაგიატიზმს, კონკრეტულად მისი სილაბუსი იყო გადმოწერილი. ამას გარდა, ფოკუსირება სწავლების ფარგლებში იყო თბილისის ლოკალურ გიდობაზე. რადგან პრაქტიკული მიმართულებაში გათვალისწინებული იყო თბილისის ისტორიული ძეგლების დათვალიერება.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები უფრო რეკომენდაციის ხასიათს ატარებს, და შეკითხვით მიმართა ექსპერტს, არსებული მდგომარეობით, აქვს თუ არა პროგრამას უნარი შესძინოს კურსდამთავრებულს ის კომპეტენციები, რაც აუცილებელია ტურიზმის ბაკალავრის კვალიფიკაციისათვის. ექსპერტი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, იმასთან დაკავშირებით, რომ დასკვნაში მითითებული გარემოებები, შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს რეკომენდაციებად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა, თავისი შინაარსით გადის განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე, რაც აუცილებელია ტურიზმის ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, თუმცა, მისი მოსაზრებით, პროგრამა არ ითვალისწინებს ტურიზმის სემინტში დასაქმებისათვის მნიშვნელოვანი დისციპლინების შესწავლას, რაც შესაძლებელია კურსდამთავრებულის დასაქმებისათვის შემაფერხებელი გარემოება გახდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ ჩამოთვლილი თემები ზოგადი სახით გათვალისწინებულია ცალკეულ საგნებში, მაგრამ რადგან სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი არ წამოვიდა დაწესებულებაში სასწავლებლად, დამოუკიდებლად შესაბამის საგნები არ ისწავლება.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება

საბჭოს სხდომა განახლდა 22.46 საათზე

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა ისაუბრეს პროგრამაზე დაფიქსირებულ შენიშვნებზე და კითხვა გაუჩნდათ ექსპერტთან, რამდენად შესაძლებელია ამ შენიშვნების გამოსწორება და მისი აღმოფხვრა და რამდენად შეძლებს ეს პროგრამა კვალიფიციური კადრის გამოშვებას. ექსპერტის განმარტებით ეს შეფასებები გამოსწორებადია. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ექნება თუ არა კურსდამთავრებულს პროგრამის შესაბამისი კომპეტენციებით პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ არ გამოირიცხვას, პროფესიით მუშაობას, მის მიერ აღნიშნულია, რომ აღნიშნული დისციპლინების შესწავლით კურსდამთავრებულის დასაქმების არეალი ვიწროვდება, ადგილობრივი დონის ბაზრითაც შეეხება ფართო სემინტს, შეიძლება კონკურენციის თავლსაზრისით აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების პრობლემა გაჩნდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **20. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, შესავალი კურსებისთვის საკონტაქტოდ გამოყოფილი იყოს უფრო მეტი საათი;
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში კვირების მიხედვით განსახილველი საკითხები იყოს დაკონკრეტებული;
- სილაბუსებში სასურველია, ძირითად ლიტერატურად მითითებული იყოს უფრო მაღალი დონის წყაროები;
- სასურველია სილაბუსებში, უახლესი ინფორმაციის მიღების მიზნით, მითითებული იყოს ინტერნეტ მისამართები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა ყველა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **21. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამაში არ არის აუცილებელი, დეტალურად იყოს გაწერილი პრაქტიკის გეგმა. უმჯობესია, პროგრამას ახლდეს პრაქტიკის სილაბუსი, რომელშიც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი პრაქტიკის მიზანი და სწავლის შედეგი;
- სასურველია, შესავალი კურსებისთვის საკონტაქტოდ გამოყოფილი იყოს უფრო მეტი საათი;
- სასურველია, პროგრამაში ისწავლებოდეს საგანი „ბიოქიმია“;
- სილაბუსებში სასურველია, ძირითად ლიტერატურად მითითებული იყოს უფრო მაღალი დონის წყაროები;
- სასურველია სილაბუსებში, თანამედროვე ინფორმაციის მიღების მიზნით, მითითებული იყოს ინტერნეტ მისამართები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა ყველა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **22. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამაში სპეციალობის სასწავლო კურსების უმეტეს ნაწილში 5 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებული 125 საათიდან 30 კრედიტია მხოლოდ საკონტაქტო. სასურველია, იყოს მეტი;

- სასურველია, პრაქტიკის დროს სტუდენტებს ჰქონდეთ პრაქტიკის დღიური, სადაც მოხდება მათი მუშაობის პერიოდული შეფასება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა ყველა რეკომენდაციას. პრაქტიკის დღიურთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღიური არსებობს, მაგრამ მისი მონაცემები იწერება შეფასების უწყისსში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.



**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### **23. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყვევის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- სასურველია, პრაქტიკის დროს სტუდენტებს ჰქონდეთ პრაქტიკის დღიური, სადაც მოხდება მათი მუშაობის პერიოდული შეფასება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყვევის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყვევის მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **24. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყვევის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მათათოვამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- სასურველია, პრაქტიკის დროს სტუდენტებს ჰქონდეთ პრაქტიკის დღიური, სადაც მოხდება მათი მუშაობის პერიოდული შეფასება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს და გაითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყვევის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება**

